გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 83

2025 წლის 11 ივლისი
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 ივლისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

1. „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

2. „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ 3 (სამი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

3. „გორში, ტყვიავის ქუჩა №51-ის მიმდებარედ 1(ერთი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

4. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2024 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

5. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების 2024 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

6. „ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ 2024 წლის ივლისიდან განვლილი პერიოდის შესახებ“ ინფორმაცია;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

7. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

9. „ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (24 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერეთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/